



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

31

საფრთხეთა წინააღმდეგობრივი აღქმა
საქართველოში

ეკატერინა მებრეველი



ექსპერტის აზრი

2014



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ეკატერინე მეტრეველი

**საფრთხეთა წინააღმდეგობრივი აღქმა
საქართველოში**

31

2014



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2014 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-7248-2

საფროთხეთა წინააღმდეგობრივი აღქმა საქართველოში¹

შესავალი

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ხოლო საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა 29,9 პროცენტიდან 16,3 პროცენტამდე შემცირდა. 1990-იანი წლების მიმე და არასტაბილურმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ყოფამ და ახლად ჩამოყალიბებულ ეროვნულ სახელმწიფოში საკუთარი ადგილისა და როლის თაობაზე არამკაფიო წარმოდგენებმა აიძულა ეთნიკური უმცირესობების ბევრი წარმომადგენელი ქვეყანა დაეტოვებინა. ამ პროცესში თავისი წვლილი მიუძღვის გამოუცდელი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაციონალისტურ რიტორიკასაც, რომელსაც არ ეყო ძალა, თავი გაერთმია ახალი პრობლემებისთვის და უმცირესობებისთვის ქართული სახელმწიფოს ახალ ნაციონალურ პროექტში ჩართვა შეეთავაზებინა. ამასობაში ეთნიკურ უმცირესობებში, რომლებმაც საქართველოს გარეთ დაიწყეს საყრდენისა და მხარდაჭერის ძიება, ნაციონალური მობილიზაცია გაიშალა. ყოფილი იმპერიული ძალის დახმარებით მიმდინარე ამ პროცესის კულმინაცია იყო ორი დე ფაქტო სახელმწიფოს – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის – გაჩენა.

საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებული სახე, როგორც მრავალეთნიკური ქვეყნისა, ნელ-ნელა გაქრა და დღეისათვის ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა ორი ძირითადი ჯგუფის სახითაა წარმოდგენილი. ეს ჯგუფები კომპაქტურად სახლობენ ქვემო ქართლისა (ეთნიკურად აზერბაიჯანლები) და სამცხე-ჯავახეთის (ეთნიკურად სომხები) რეგიონებში. ამჟამად ეთნიკური უმცირესობის ყველაზე დიდი ჯგუფი არის აზერბაიჯანლებისა (284,000, ანუ 6,5 პროცენტი), მეორე კი – სომხების (248,900, ანუ 5,7 პროცენტი). ორივე ჯგუფის კონცენტრირებულად განსახლების ადგილები სომხეთსა და აზერბაიჯანს ესაზღვრება, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს მათ კულტურულ სიახლოვესა თუ გავლენას და აფერხებს ამ ჯგუფების ქართულ სახელმწიფოში ინტეგრაციას.

დღეისათვის ქართულ სახელმწიფოსა და უმცირესობებს შორის ურთიერთობა სტაბილურია, ზოგადად შეინიშნება პოზიტიური ტენდენციაც, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ზოგჯერ თავს

1 წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს განახლებულ ვერსიას 2014 წლის ივლისში გამოქვეყნებული სტატიისა "The Georgian State and Minority Relations", *Caucasus Analytical Digest*-ში, No 64, July 2014.

იჩენს გარკვეული გაუგებრობებიც.² უმცირესობათა ჯგუფები საკმაოდ ფაქიზი და მგრძობიარეა ყველა სახის ცვლილების მიმართ, იქნება ეს ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო სარბიელზე. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ უმცირესობათა ინტეგრაციის მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, ეს პროცესი ჯერ კიდევ შორსაა წარმატებული დასასრულისგან. ამ პროცესისათვის ძირითადი საფრთხე, გარდა ადეკვატური რესურსების ნაკლებობისა, რაც ახასიათებთ დემოკრატიის გზაზე ახლად შემდგარ ქვეყნებს, არის როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის მხრიდან საფრთხეთა წინააღმდეგობრივი აღქმა.

წინაპირობები და მემკვიდრეობა

თითქმის მთელი 1990-იანების მანძილზე შევარდნაძის მთავრობა საქართველოში უმცირესობებთან ურთიერთობებს ეროვნული უსაფრთხოების პრიზმიდან უყურებდა.³ ამ საკითხზე ზრუნვა გამოიხატა უმცირესობა-უმრავლესობის დისკურსის საჯარო სფეროდან გადატანით და გარე ჩარევებისა და პოლიტიკური პარტიების აქტიურობისათვის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ჩაკეტვით. რეგიონების მართვა ხდებოდა ადგილობრივ ავტორიტეტებთან გარიგებით, დროთა განმავლობაში ეს ავტორიტეტები პოლიტიკურ-ეკონომიკურ ელიტად ჩამოყალიბდნენ. რაც შეეხება განათლებას, ამაზე პასუხისმგებლობა დაეკისრათ სომხეთსა და აზერბაიჯანს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების სკოლების წიგნებით მომარაგება ძირითადად მეზობელი სახელმწიფოებიდან ხდებოდა.

ამგვარი პოლიტიკით მიღებული „დადებითი“ შედეგი იყო არასტაბილურ 1990-იანებში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში შენარჩუნებული სტაბილურობა, განსაკუთრებით ჯავახეთში, სადაც მოხდა ადგილობრივი შეიარაღებული დაჯგუფე-

2 Natalie Sabanadze, "Georgia's Ethnic Diversity. A Challenge to State-building," *The Making of Modern Georgia, 1918-2012. The First Georgian Republic and its Successors*. Edited by Stephen F. Jones, Routledge, 2014, p. 119.

3 საქართველოში ეროვნული უმცირესობების საკითხებთან დაკავშირებით აგრეთვე იხ.: Niklas Nilsson, "Obstacles to Building a Civic Nation: Georgia's Armenian Minority and Conflicting Threat Perceptions," *Ethnopolitics*, Volume 8, Issue 2, 2009; Natalie Sabanadze, "Georgia's Ethnic Diversity. A Challenge to State-building," *The Making of Modern Georgia, 1918-2012. The First Georgian Republic and its Successors*. Edited by Stephen F. Jones, Routledge, 2014, pp. 130-132. Niklas Nilsson, "Obstacles to Building a Civic Nation: Georgia's Armenian Minority and Conflicting Threat Perceptions," *Ethnopolitics*, Volume 8, Issue 2, 2009

ბების კონტროლის განეიტრალება და სახელმწიფოს ფორმალური კონტროლის გავრცელება რეგიონზე. მეორე მხრივ, ასეთი პოლიტიკა არ ეფუძნებოდა კანონის უზენაესობას, არ უწყობდა ხელს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის კომუნიკაციის დემოკრატიული ჩარჩოების შემუშავებას და საქართველოს მოქალაქეებისთვის ქვეყნის მომავლის ერთობლივი ხედვის ჩამოყალიბებას. რადგანაც არ არსებობდა მონაწილეობასა და ინტეგრაციასთან დაკავშირებული საჯაროდ გაცხადებული პოლიტიკა, უმცირესობები სულ უფრო უახლოვდებოდნენ მათი ეთნოსით დასახლებულ მეზობელ სახელმწიფოებს, რის შედეგადაც ჯერ კიდევ საბჭოთა წყობის დროს ჩამოყალიბებული განსხვავებული სამოქმედო სივრცეები ტიტულარული და უმცირესობათა წევრებისთვის კიდევ უფრო გაღრმავდა.

ამ ფონზე პრეზიდენტი სააკაშვილის მიერ წამოწყებული უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკა რადიკალურად განსხვავებული ჩანდა. მკაფიოდ გაცხადებული სახელმწიფოს მშენებლობის მისიის ფარგლებში მან აქცენტი გააკეთა სამოქალაქო ელემენტებზე და საქართველო წარმოადგინა, როგორც თავისი ყველა მოქალაქის სახელმწიფო. საჯარო გამოსვლებისას იგი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას უმცირესობებზე, ხშირად სიტყვას იწყებდა მათივე მშობლიურ ენაზე და ხაზს უსვამდა, თუ რამდენად საჭიროა ამ ხალხების ინტეგრაცია და ბრძოლა სტერეოტიპებთან. ამ რიტორიკის პრაქტიკული გამოხატულება იყო 2005 წელს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის ჩარჩოებში შესრულების (FCNM) რატიფიკაცია, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მიერ ინიცირებული ეროვნულ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის გავრცელების ხელშეწყობის პროექტებზე პასუხისმგებლობის აღება, ეროვნული ინტეგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და მიღება (2009-2014), უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებითა და საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საშუალებით, რაც იყო რეგიონული პროექტების როგორც იზოლაციის, ისე განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს რკინიგზაც სწორედ ეთნიკური სომხებით დასახლებული ჯავახეთის ეკონომიკურ ინტეგრაციასა და განვითარებას ემსახურება.

მართალია, ქვეყანაში უმცირესობების ინტეგრაციასთან დაკავშირებით სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ამ ძალისხმევას პირდაპირი შედეგები არ მოჰყოლია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული გაუმჯობესება ამჟამად შეინიშნება.

ამის დასტურია ისიც, რომ უმრავლესობამ გააცნობიერა, რომ უმცირესობათა საკითხების უგულვებელყოფა აფერხებს ქვეყნის განვითარებას. სამსუხაროდ, ინტეგრაციული სტრატეგიისათვის გამოყოფილი ვადები და რესურსები არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ დაძლეულიყო საბჭოთა დროიდან შემორჩენილი გავლენები, რაც კიდევ უფრო გამყარდა დამოუკიდებლობის პირველ დეკადაში ფეხმოკიდებული პრაქტიკით. ამასთან, პოლიტიკა არ იყო ერთიანი და თანმიმდევრული და ხელს არ უწყობდა უმცირესობების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანზიციის პერიოდში, როდესაც სახელმწიფოები ესწრაფიან გამოკვეთონ პრიორიტეტები საკუთარი შეზღუდული რესურსებისა და შესაძლებლობების გამოსაყენებლად, კანონის უზენაესობა და ეკონომიკური განვითარება სჯაბნის უმცირესობათა პრობლემატიკას. უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოები გარდამავალ პერიოდში არ ფლობენ საკმარის რესურსებს, რომ დააკმაყოფილონ უმცირესობების მოთხოვნები და მათ მათი იდენტობის დაცვის მექანიზმები შესთავაზონ, რაც ქმნის „გაურკვევლობის საფრთხის“ (threatening uncertainties) საფუძველს.⁴

„გაურკვევლობის საფრთხე“ შეეხო და მოიცვა საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფოს მშენებლობისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებისათვის განეულ ღონისძიებები, მათ შორის, ანტინარკოტიკული და კონტრაბანდის საწინააღმდეგო სახელმწიფო ქმედებები, რასაც მოჰყვა ქვემო ქართლში წითელი ხიდისა და სადახლოს ბაზრობების – ადგილობრივების შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროს – დახურვა. საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია ანტიკორუფციულმა ქმედებებმა საქართველო-სომხეთის საზღვართან, ნინოწმინდაში 2005 წელს, ასევე ახალქალაქში გადასახადებისათვის თავის არიდების გამო რამდენიმე საწარმოს დახურვამ.⁵ ამ საკმაოდ გახმაურებულმა ქმედებებმა, რაც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებასა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, საპირისპირო რეაქცია გამოიწვია უმცირესობებში და ეს თავის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებად აღიქვეს. ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობა და ამასთან დაკავშირებით რეგიონში თურქი და აზერბაიჯანელი მუშახელის გამოჩენა ადგილობრივებმა

4 Will Kymlicka, "Justice and Security in the Accommodation of Minority Nationalism," *Ethnicity, Nationalism and Minority Rights*. Edited by Stephen May, Tariq Modood and Judith Squires; Cambridge, 2004, pp. 150-151.

5 აგრეთვე იხ.: *Georgia's Armenian and Azeri Minorities*, International Crisis Group, Europe Report 178, Tbilisi, 2006.

ასევე თავისი კეთილდღეობისა და უსაფრთხოების საფრთხედ განიხილეს. ხალხში არის შიში, რომ რკინიგზის მშენებლობითა და მასთან დაკავშირებული სამუშაოებით მოტანილი ეკონომიკური სარგებელი შეზღუდული იქნება ეთნიკური სომხებისათვის.⁶

რაც შეეხება უმრავლესობის დამოკიდებულებას, უმცირესობების მიმართ უნდობლობამ საერთაშორისო გარემოს ცვლილებასთან ერთად იჩინა თავი. მიიჩნევა, რომ ხშირად უმცირესობები პრიორიტეტს ანიჭებენ, თუ გამოვიყენებთ ალექსანდრე რონდელის ტერმინს, ყოფილ „კოლონიალურ ბატონს“⁷ და მხარს უჭერენ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ისეთ პრიორიტეტებს, რომლებიც განსხვავდება ქართული სახელმწიფოს აღიარებული პოლიტიკისგან. ბევრგან, როგორც აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებში, ისე პოსტსაბჭოთა სივრცეში, უმცირესობებს უყურებენ, როგორც მოკავშირეებს იმ ძირითადი იმპერიული მმართველისა (major powers), რომელიც ისტორიულად ქვეყნის ძირითად ეთნიკურ ჯგუფს ჩაგრადა. ეს ფენომენი, სახელად „უმცირესობაში მყოფი უმრავლესობა“ (minoritized majorities)⁸, განსაზღვრავს უმცირესობების მიმართ უმრავლესობაში არსებულ შიშსა და აღქმას და უმცირესობა-უმრავლესობის დისკურსი ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის ქრილიდან ეროვნული უსაფრთხოების რაკურსში გადააქვს.

ამ პროცესს თავისი ქმედებებით ხელს უწყობს რუსეთი. იგი აქტიურად იყენებს ქვეყნის სანინალმდევოდ მის ეთნიკურ უმცირესობებს და ამით აფერხებს სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს. რუსეთის შეჭრა უკრაინაში ადასტურებს პოსტსაბჭოთა სივრცესთან დაკავშირებული მკაფიოდ ჩამოყალიბებული საგარეო და უსაფრთხოების დოქტრინის არსებობას.⁹ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ასეთი მიდგომა არ არის ახალი, ამჯერად ეს იყო უფრო მკვეთრად, ლიად და რადიკალურად არტიკულირებული. რუსეთმა გააფართოვა თავისი, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის

6 Премьер министр Грузии посетил Самцхе-Джвавахк, 26 мая, 2014. www.hetq.am/rus/news/54814/premer-ministr-gruzii-posetil-samckhe-dzhavahkh.html

7 Alexander Rondeli, “The Russian-Georgian War and its Implications for Georgia’s State-building,” *The Making of Modern Georgia, 1918-2012. The First Georgian Republic and its Successors*. Edited by Stephen F. Jones, Routledge, 2014, p. 35.

8 “minoritized majorities”-ის შესახებ იხ.: Will Kymlicka, “Justice and Security in the Accommodation of Minority Nationalism,” *Ethnicity, Nationalism and Minority Rights*. Edited by Stephen May, Tariq Modood and Judith Squires; Cambridge, 2004, p. 155.

9 Alexander Rondeli, “The Russian-Georgian War and its Implications for Georgia’s State-building,” *The Making of Modern Georgia, 1918-2012. The First Georgian Republic and its Successors*. Edited by Stephen F. Jones, Routledge, 2014, p. 41.

რუსულად მოლაპარაკე მოსახლეობის მონათესავე სუბიექტისა და ტიტულარული ერისაგან მათი დამცველის ფუნქცია.¹⁰ შედარებით რადიკალური საშუალებების გარდა, როგორცაა სამხრეთ ოსეთში თუ, მოგვიანებით, უკრაინაში შეჭრა, რუსეთისათვის საკუთარი კონტროლის გავრცელების სხვა გზებია რბილი ძალის გამოყენება ან მეზობელი სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის რუსული პასპორტების დარიგება. ამ ფონზე, საქართველოს უმცირესობათა შორის რუსული და სომხური პასპორტების არსებობამ, რუსული პროპაგანდის პარალელურად, კიდევ უფრო შეუწყო ხელი ეთნიკური საკითხის უსაფრთხოების პრიზმაში განხილვას და ეროვნულ მედიაში საკმაოდ არაჯანსაღი დებატებიც გამოიწვია.

2008 წელს მიღებულმა ქართულმა გამოცდილებამ და რუსეთის ახალმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკამ, რომელიც გამოჩნდა უკრაინასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში, აჩვენა, რომ მოქალაქეობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. მიუხედავად იმ მიზეზებისა, თუ რატომ იღებენ საქართველოში მცხოვრები უმცირესობები უცხო ქვეყნების პასპორტებს, ეს პროცესი დასაფიქრებელია და განსაკუთრებული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

დღეს არსებული პრობლემები

ზემოთ შევხეთ იმ წინაპირობებსა და გარემოებებს, რაც განსაზღვრავს უმცირესობების საკითხის ამჟამინდელი დისკურსის ხასიათს და განაპირობებს იმ გამოწვევებს, რაც ხელს უშლის უმცირესობების ინტეგრაციას ქართულ სახელმწიფოში. ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა გამომწვევი გარემოებით შექმნილია მანკიერი წრე, საიდანაც ძნელია თავის დაღწევა. ეს პრობლემები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უმცირესობა-უმრავლესობის ერთობლივ ძალისხმევაზე, რომ აღმოიფხვრას უნდობლობა და ჯგუფებს გაეზარდოთ უსაფრთხოების განცდა, რადგანაც საფრთხეთა წინააღმდეგობრივი აღქმა აფერხებს განვითარების დემოკრატიულ პროცესს.

სხვა პრობლემებთან ერთად ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობათა ინტეგრაციის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ამკარად არის ქართული ენის არცოდნა, ნაკლი, რომელიც ზღუდავს უმცირესობათა მონაწილეობას გადწყვეტილების მიღების პროცესში და აფერხებს მათ სოციალურ აქტივობას. ენა

10 Lyudmila Alexandrova, "Russia Keeps Pressing for Reunification of the 'Russian World,'" April 2, www.en.itar-tass.com/opinions/1723.

კავკასიაში ეთნიკური იდენტობის უმნიშვნელოვანესი საფუძველია და მას ქართველებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მართალია, სააკაშვილის მთავრობა მხურვალედ უჭერდა მხარს სახელმწიფო ენის პროგრამებს, მაგრამ ამისათვის არ არსებობდა შესაფერისი რესურსები, პოლიტიკა კი არ იყო თანმიმდევრული. მართალია, სახელმწიფო ენის მიმართ დამოკიდებულება დადებითად შეიცვალა, მაგრამ საშუალო სკოლაში მიღებული ცოდნის დონე არ არის საკმარისი თანაბარი შესაძლებლობებისა და კონკურენციისათვის. ამასთან, უმცირესობები ხშირად ვერ ხედავენ, თუ რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს მათ კეთილდღეობას სახელმწიფო ენის ცოდნამ უახლოეს მომავალში.

რამდენიმე წლის წინ ქართული ენის არცოდნა პირდაპირ უკავშირდებოდა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას. დღეისათვის ვითარება ასე თუ ისე შეცვლილია, მას შემდეგ, რაც 2010 წელს დაინერგა პროგრამა 1+4. ამ პროგრამის დამსახურებით გაიზარდა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რიცხვი. ქვემო ქართლში მაცხოვრებელი ეთნიკურად აზერბაიჯანელთა რიცხვი, ვინც ჩააბარა ეროვნული გამოცდები, 2010 წელს იყო 163, რაც 2013 წელს 587-მდე გაიზარდა, ხოლო სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხების რიცხვი – 2010 წლის 96-დან 2013 წელს 139-მდე.¹¹ როდესაც გარკვეული რაოდენობის უმცირესობათა წარმომადგენლები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს დაამთავრებენ, ეს უდაოდ დადებითად აისახება ინტეგრაციულ ძალისხმევაზე.

სახელმწიფო ენის არცოდნას უკავშირდება ასევე ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც უმცირესობებისათვის კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს. ქართული მედიის საკმაოდ შეზღუდული აქტივობა საკუთარი სიტყვის გასავრცელებლად უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში აფერხებს სოციალურ კავშირებსა და ამ ხალხის ინტეგრაციას. როცა „კოალიცია ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლების სათავეებთან, დაიხურა ერთადერთი რუსულენოვანი ტელეარხი „პიკი“, ხოლო მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის სალამოს ახალი ამბების გამოშვება, რომელიც უმცირესობათა ენებზეც გადის, არ არის საკმარისი არსებული დეფიციტის შესავსებად. „პიკის“ დახურვამ ძალიან ცუდი შედეგი გამოიღო, რადგან ეს არხი იყო ერთადერთი ალტერნატიული საშუალება, საპირწონედ რუსული პროპაგანდისა, რომელსაც რუსეთის ტელევიზია თავისი მედიასაშუალებებით უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ავრცელებს. რადგანაც უმცირესობებს

11 www.naec.ge

მათთვის გასაგებ ენაზე თბილისიდან არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, არ არსებობს ალტერნატივა, რომელიც, მაგალითად, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე ან ანტიდასავლურ განწყობილებებზე არსებულ რუსულ პოზიციას დააბალანსებდა. ეს ზრდის საინფორმაციო ვაკუუმს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, განსაკუთრებით ეროვნულ უსაფრთხოებასა და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული კიდევ ერთი მწვავე პრობლემა უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფო ენის არცოდნასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვას – ეს არის კარგი მმართველობის არქონა, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლითა და საკმაოდ შეზღუდული პოლიტიკური აქტიურობით. უმცირესობები არ არიან წარმოდგენილი არც ცენტრალურ დონეზე, არც საჯარო ადმინისტრაციაში და არც პოლიტიკურ პარტიებში. ძირითადი პოლიტიკური პარტიები საარჩევნო კამპანიების დროს არ ეხებიან უმცირესობათა თემებს და არც საარჩევნო კამპანიებს ატარებენ უმცირესობათა დასახლებებში (მხოლოდ მცირედი გამონაკლისების გარდა) და ამას ამართლებენ იმით, რომ რეგიონებში უკონკურენტო უპირატესობა აქვს მმართველ პარტიას.¹² ასევე ნომინალურ ხასიათს ატარებს უმცირესობათა წარმომადგენლების შეყვანა, ძირითადად ადგილობრივი გავლენიანი პირებისა, მმართველი პარტიის სიებში და, შესაბამისად, მათი მონაწილეობა პარლამენტში.

დასკვნა

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეროვნული პოლიტიკის მემკვიდრეობამ გავლენა მოახდინა უმცირესობათა დღევანდელ მდომარეობაზე, ხელი შეუწყო უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის ორმხრივი უნდობლობის გაჩენას და საკითხის უსაფრთხოების ასპექტის გაზრდას, რაც განსაკუთრებით მწვავედბა პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის აგრესიული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით.

იმისათვის, რომ შემცირდეს საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებზე გარე ძალების გავლენა, მნიშვნელოვანია შემუშავდეს საშინაო პოლიტიკის სფეროში უმცირესობათა ინტერესების ჩართვის მექანიზმი და ხელი შეეწყოს პოლიტიკას, რომელიც მიზნად

¹² Eka Metreveli and Jonathan Kulick, *Social Relations and Governance in Javakheti, Georgia*, PDCI, 2009, pp. 20-21.

ისახავს ნაციონალურ ერთიანობას. ამ თვალსაზრისით აუცილებელია რუსული მედიის საპასუხოდ ამ დასახლებებში შეიქმნას ინფორმაციის ნაკადის ალტერნატიული წყარო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brubaker, R., *Nationalism Reframed: Nationhood and the National Question in the New Europe*, Cambridge University Press, 1997.
2. Kymlicka, Will, "Justice and Security in the Accommodation of Minority Nationalism," *Ethnicity, Nationalism and Minority Rights*. Edited by Stephen May, Tariq Modood and Judith Squires; Cambridge, 2004.
3. Metreveli, E. and J. Kulick, *Social Relations and Governance in Javakheti, Georgia*, PDCI, 2009.
4. Nilsson, N., "Obstacles to Building a Civic Nation: Georgia's Armenian Minority and Conflicting Threat Perceptions," *Ethnopolitics*, Volume 8, Issue 2, 2009.
5. Nodia, G., "The Poli-ethnicity of Georgia: Fact, Attitude towards the Fact and a Political Strategy," *One Society, Many Ethnicities: Ethnic Diversity and Civic Integration in Georgia*, CIPDD, Tbilisi, 2003.
6. Rondeli, A., "The Russian-Georgian War and its Implications for Georgia's State-building," *The Making of Modern Georgia, 1918-2012. The First Georgian Republic and its Successors*. Edited by Stephen F. Jones, Routledge, 2014.
7. Sabanadze, N., "Georgia's Ethnic Diversity. A Challenge to State-building," *The Making of Modern Georgia, 1918-2012. The First Georgian Republic and its Successors*. Edited by Stephen F. Jones, Routledge, 2014.
8. Weatley, J., "The Integration of National Minorities in the Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli Provinces of Georgia: Five Years into the Presidency of Mikheil Saakashvili," ECMI Working Paper #44, September 2009.